გგანათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა
უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

# „საზოგადოებრივი ჯანდაცვა“
# სადოქტორო პროგრამა

## თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი

2. 07.2021 (შეფასება)

5. 07.2021 (წარდგენა)

თბილისი

### ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ[1]

| | |
|---|---|
| დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით | სსიპ-საჯარო სამართლის იურიდიული პირი - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი |
| დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი | 211328703 |
| დაწესებულების სახე | უნივერსიტეტი |

### ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

| | |
|---|---|
| საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება | საზოგადოებრივი ჯანდაცვა |
| უმაღლესი განათლების საფეხური | დოქტორანტურა |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია[2] | საზოგადოებრივი ჯანდაცვის დოქტორი |
| დეტალური სფეროს დასახელება და კოდი | 0919 |
| ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება (მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში) | - |
| სწავლების ენა | ქართული |
| ECTS კრედიტების რაოდენობა | 45 ECTS / სასწავლო კომპონენტი/ სწავლების ხანგრძლივობა 3 წელი |
| პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი) | აკრედიტებული საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2019 წლის 1 ოქტომბრის გადაწყვეტლება N182 |

### ექსპერტთა ჯგუფის წევრები

| | |
|---|---|
| თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | ირინე ფხაკაძე (სსიპ-ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო) |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | ნინო ქიმერიძე (სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო) |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | - |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | - |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | - |

### აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

[1] ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის

[2] უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

ექსპერტთა ჯგუფს განსახილველად გადაეცა საზოგადოებრივი ჯანდაცვის სადოქტორო პროგრამა, რომელმაც აკრედიტაცია გაიარა 2014 წლის 27 მაისს (გადაწყვეტილება N117). საგანმანათლებლო პროგრამის რეაკრედიტაციის პროცესი შედგა 2019 წლის 1 ოქტომბერს (გადაწყვეტილება N182). რეაკრედიტაციის პროცესს ხელმძღვანელობდა უცხოელი ექსპერტი ასოც. პროფ. ვერიკა ჯოვანოვიჩი (სინგიდუნუმის უნივერსიტეტი, სერბეთის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ინსტიტუტი, სერბეთი), ხოლო ექსპერტთა ჯგუფის წევრებს შორის იყვნენ ქართველი ექსპერტები (ასოც. პროფ. თ. ვალიშვილი, დოქტრ. ირ.გაგუა, სტუდენტი ექსპერტი ლ. ბოკუჩავა).

ექსპერტთა კომისიის მუშაობის შედეგად დადგინდა საგანმანათლებლო პროგრამის სრული შესაბამისობა აკრედიტაციის ხუთივე სტანდარტთან, თუმცა ექსპერტთა ჯგუფს ჰქონდა გარკვეული რჩევების პროგრამის განმახორციელებელთა და ინსტიტუციის მიმართ, საგანმანათლებლო პროგრამის განვითარების მიზნით, კერძოდ,

- ✓ გაიზარდოს ფინანსური დახმარება თსსუ-ს მხრიდან სტუდენტებისა და პროფესორების კონფერენციებში მონაწილეობაზე და სტუდენტთა სტატიების პუბლიკაციებზე, სადაც გათვალისწინებულია ხარჯების გაწევა სტუდენტთა მხრიდან;
- ✓ მოდულების სილაბუსების განახლება, სტუდენტების გამოკითხვებიდან/შეფასებებიდან ინფორმაციის უფრო ხშირად დამატებით;
- ✓ სადოქტორო პროგრამის მარკეტინგის გაუმჯობესების მიზნით სოციალურ პარტნიორებთან და პოტენციურ დამსაქმებლებთან უფრო მჭიდრო კავშირის დამყარება.

წინამდებარე რჩევების განხორციელება საგანმანათლებლო პროგრამამ ეტაპობრივად დაგეგმა. ცვლილებები განხორციელდა პირველ რიგში სასწავლო კურსების სილაბუსებში. ასევე, ბოლო აკრედიტაციიდან წარმოდგენილია მტკიცებულებების სახით სოციალურ პარტნიორებთან და პოტენციურ დამსაქმებლებთან საქმიანი კომუნიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტები.

იმ გარემოებებიდან გამომდინარე, რომ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის N69/ნ (10.04.2019) ბრძანების N3 დანართის თანახმად განისაზღვრა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამებისა და ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის დადგენის მიზნით თვითშეფასების ანგარიშის წარდგენის ვადები, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებამ ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან შესაბამისობაში მოყვანილი დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამა ექსპერტიზის მიზნით წარადგინა სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში.

საგანმანათლებლო პროგრამის პორტფოლიოში გარდა პროგრამისა და სასწავლო კურსების სილაბუსებისა, უსდ-მ წაროადგინა შესაბამისი ანგარიშის ფორმა მტკიცებულებების პაკეტით (3 დანართი). შესაბამისობის ანგარიშში წარმოდგენილი იყო სააკრედიტაციოდ 2019 წლის 16 მაისს N24/11 თსსუ-ის აკადემიური საბჭოს სხდომაზე დამტკიცებული საგანმანათლებლო პროგრამა. დამატებით ექსპერტების მიერ მოთხოვნილ იქნა ახალი კვალიფიკაციების ჩარჩოსთან შესაბამისობაში მოყვანილი კურიკულუმი, დაწესებულებამ წარმოადგინა განახლებული პროგრამა განხორციელებული ცვლილებების შედეგად, დამტკიცებული თსსუ საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე ოქმი №8; 15.03. 2021, მასალების გაცნობის შემდგომ ექსპერტთა ჯგუფმა წარმოადგინა ხედვები საგანმანათლებლო პროგრამის კვალიფიკაციის ჩარჩოსთან შესაბამისობაში მიმართებით.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის MES 7 21 0000486579 15/05/2021 ბრძანების საფუძველზე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფმა შემადგენლობით: ირინე ფხაკაძე (თავმჯდომარე); ნინო ქიმერიძე(წევრი) განახორციელა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის „საზოგადოებრივი ჯანდაცვის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე არაგეგმიური მონიტორინგი. პროგრამის შეფასება განხორციელდა დაწესებულებაში ვიზიტის გარეშე.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის შესაბამის სამსახურებთან დათქმის თანახმად, საგანამანათლებლო პროგრამის კვალიფიკაციის ჩარჩოსთან და აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობა დადგინდა პირველ, მეორე და მეოთხე სტანდარტებთან მიმართებაში.

- **რეკომენდაციები**

2.3. მოვიდეს უცხოური ენების სასწავლო კურსების სილაბუსებში წარმოდგენილი სწავლის შედეგების აღწერილობითი ნარატივი განალებულ სტანდარტებთან შესაბამისობაში.

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

1.2. სასურველია შედეგების რუბრიკაში ცალკეული კომპეტენცია ჩამოყალიბდეს უფრო კონკრეტულად.
2.4. განმარტებულ იქნას ჩანაწერი საგანმანათლებლო პროგრამაში **კვლევითი** კომპონენტის შეფასების (გვ. 8) შესახებ.

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**

დოქტორანტის ინდივიდუალური გეგმა, რომელიც უზრუნველყოფს დამოუკიდებელი კვლევის პროცესების დაგეგმვის, განხორციელებისა და მონიტორინგის პროცესს. მსგავსი ფორმატი განაპირობებს მეტწილად საკვალიფიკაციო ნაშრომის სავალდებულო ვადებში წარდგენას.

- **ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

## პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

### 1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

#### 1.1 პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული და რა წვლილი შეაქვს სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის გაცნობის შემდგომ დადასტურდა, რომ საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებს ძირეული ცვლილება არ განუცდია. შესაბამისობის ანგარიშში წარმოდგენილი იყო სააკრედიტაციოდ 2019 წლის 16 მაისს N24/11 თსსუ-ის აკადემიური საბჭოს სხდომაზე დამტკიცებული საგანმანათლებლო პროგრამა. დამატებით ექსპერტების მიერ მოთხოვნილ იქნა ახალი კვალიფიკაციების ჩარჩოსთან შესაბამისობაში მოყვანილი კურიკულუმი დამტკიცებული განხორციელებული ცვლილებების შედეგად (დამტკ. თსსუ საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე ოქმი №8; 15.03. 2021), აკრედიტაციის ექსპერტთა შეფასებით წინამდებარე საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი შეესაბამება უმაღლესი განათლების მე-8 დონეს, ის პირდაპირ ბმაშია უნივერსიტეტის მისიასა და ღირებულებებთან, რომელიც თავის მხრივ გულისხმობს: ადამიანის სიცოცხლის დაცვისა და გაუმჯობესების პრინციპებით მოქმედებას, სოციალური პასუხიმგებლობის პრინციპების დაცვას და მომსახურებას, ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების პატივისცემას. პროგრამის მიზნები და შესაბამისად სწავლის შედეგები პირდაპირ კავშირშია დასაქმების ბაზართან. მის კურსდამთავრებულს აქვს სისტემური და ფუნდამენტური ცოდნა, ფლობს დარგის კვლევის მეთოდებს; ისინი დარგობრივი კომპეტენციებით შეძლებენ კომპეტენტურად დარგის და საზოგადოების განვითარებაში წვლილის შეტანას შემდეგი მიმართულებებით: პრევენციული მედიცინა, გარემოს მედიცინა, ეპიდემიოლოგიური ზედამხედველობა, ჯანდაცვის ადმინისტრირება, მენეჯმენტი, უსაფრთხო კვება, დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობა.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამა (**დანართი 1**);
- უნივერსიტეტის მისია;

**რეკომენდაციები:**

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

**შეფასება**

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;
- შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგი უშუალო კავშირშია უნივერსიტეტის მისიასა და ღირებულებებთან და გამომდინარეობს პროგრამის მიზნებიდან. სწავლის შედეგები ასახულია – საზოგადოებრივი ჯანდაცვის დოქტორის მიერ საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მიღებულ სამ კომპეტენციაში: ***ცოდნა-გაცნობიერება, უნარი და პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა***.

ცოდნის კომპეტენციაში მოაზრებულია: *უახლეს მიღწევებზე დამყარებული ღრმა და სისტემური ცოდნა, მისი გაფართოება სწავლის პროცესში უახლესი მეთოდების გამოყენებით და ახალი ცოდნის გენერირება, რაც მიღწევადია საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტებზე დაყრდნობით. ცოდნის მიღება ეფუძნება სწავლების პროცესისადმი ინტერ- და მულტიდისციპლინურ მიდგომას, რასაც უშუალოდ სფეროს დაუფლების კონცეფცია განაპირობებს.*

საგანმანათლებლო პროგრამა კურსდამთავრებულს, გამომდინარე მისი ინტერ- და მულტიდისციპლინური მიდგომიდან, გამოუმუშავებს უნარების ფართო სპექტრს, როგორიცაა

- ახალი ცოდნის გენერირების და მასზე დაფუძნებული ანალიტიკური მიდგომებისა და ორიგინალური კვლევის,
- ჯანმრთელობის დაცვის სფეროში დარგობრივი, პროფესიული, კვლევითი პროექტებისა და პროგრამების, დამოუკიდებლად შემუშავების, განხორციელების, მართვისა და დანერგვის უნარი;

საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტები შესაძლებლობას აძლევს კურსდამთავრებულს წარადგინოს ახალ ცოდნაზე და კვლევის უახლეს მეთოდოლოგიაზე დაფუძნებული საკუთარი კვლევის შედეგები, დაიცვას სამეცნიერო კამათში აკადემიური ეთიკის ფარგლებში საკუთარი მოსაზრება ეროვნულ და საერთაშორისო სამეცნიერო ფორუმებსა და შეხვედრებზე პროფესიული და არაპროფესიული საზოგადოების წინაშე.

საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულს აქვს ავტონომიურობის მაღალი ხარისხი აკადემიურ აქტივობასა და სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში როგორც ინდივიდუალური, ისე გუნდური მუშაობის პროცესში.

წინამდებარე სწავლის შედეგებში აკუმულირებულია საგანმანათლებლო პროგრამის როგორც სასწავლო, ისე კვლევითი კომპონენტის შედეგები და ამავდროულად, წარმოადგენს პროგრამის მიზნების კონცეპტუალურ-ფილოსოფიური ხედვის ამოსავალ შედეგს.

წარმოდგენილი მასალებისა და მტკიცებულებების გაცნობამ ექსპერტთა ჯგუფს საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებისა და შედეგების ერთიანად გააზრებისა და მართებული ინტერპრეტაციის საშუალება მისცა. თუმცა სასურველია, შედეგების რუბრიკა გაიწეროს უფრო კონკრეტულად, რათა პროგრამის შედეგები ინტერპრეტაციის გარეშეც იძლეოდეს მკაფიო პასუხებს ცალკეულ კომპეტენციებზე.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- საგანმანათლებლო პროგრამა და სილაბუსები (**დანართი 1**);
- თსსუ საგანმანათლებლბო პროგრამის შესაბამისობის ანგარიში;

| |
|---|
| **რეკომენდაციები:**<br>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br>სასურველია შედეგების რუბრიკაში ცალკეული კომპეტენცია ჩამოყალიბდეს უფრო კონკრეტულად. |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში). |
| **შეფასება**<br>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br>☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

**პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა**

| სტანდარტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა | ✓ | | | |

## 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

| 2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები |
|---|
| უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები. |

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობას არ განუცდია ცვლილება, ვინაიდან კვალიფიკაციების ეროვნულ ჩარჩოში წარმოდგენილი განახლებული მოთხოვნები არ იწვევს ძირეულ და კონცეპტუალურ ცვლილებებს კურიკულუმში.

შესაბამისად, დოქტორანტურაში /სადოქტორო კვლევის პროგრამაზე დაიშვებიან საქართველოსა უცხო ქვეყნის მოქალაქეები. მიღების წესი განისაზღვრება საქართველოს კანონით უმაღლესი განათლების შესახებ და საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფაკულტეტის დებულებით დოქტორანტურის შესახებ. საქართველოს მოქალაქეებისთვის პროგრამაზე მიღების წინაპირობებია საზოგადოებრივი ჯანდაცვის (ან მომიჯნავე დეტალური სფეროს) მაგისტრის, ან მაგისტრთან გათანაბრებული ხარისის ფლობა და საკონკურსო პირობების დაკმაყოფილება.

საკონკურსო პირობების მიხედვით ფასდება:

- კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი უსდ-ს მიერ განსაზღვრული დოკუმენტაცია;
- საგამოცდო პოზიტიური შედეგები საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრულ საკონკურსო დისციპლინებში (გამოცდები: *სპეციალობაში და უცხოურ ენაში (ინგლისური - ენობრივი კომპეტენციის დონე $B^2$ გამოცდა)*).

საგამოცდო პროცეში არის ღია და გამჭვირვალე. საგამოცდო თემები და შესაამისი სასწავლო მასალა ხელმისაწვდომია კონკურსანტებისთვის ვებგვერდის მეშვეობით.

შესაბამისი რუბრიკებისა და მასალების მიმოხილვამ აჩვენა, რომ საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები დაკავშირებულია პროგრამის შინაარსთან, რაც აისახება საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების იმ წინაპირობასთან, რომ კონკურსანტმა მისაღებ გამოცდაზე უნდა დაადასტუროს კონკრეტული დარგობრივი კომპეტენციები და ამავდროულად უცხოურ ენაზე კომპეტენციები საშუალოზე მაღალ დონეზე, რათა შეძლოს გაეცნოს დარგში არსებულ უახლეს სასწავლო მასალასა და კვლევის შედეგებს. ამავდორულად საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები წარმოდგენს იმ ხელშემწყობ პირობას, რომელსაც საბოლოოდ კურსადმთავრებული გაჰყავს პროგრამით გაწერილ სწავლის შედეგებსა და მისანიჭებელ კვალიფიკაციაზე.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- საგანმანათლებლო პროგრამა და სილაბუსები (**დანართი 1**);
- თსსუ საგანმანათლებლბო პროგრამის შესაბამისობის ანგარიში;
- უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულების (თსსუ) ვებპორტალი.

**რეკომენდაციები:**

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

**შეფასება**

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს

პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

წარმოდგენილ საგანმანათლებლო პროგრამაში არ არის შეცვლილი საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და მისი შინაარსი, რაც ამ კონკრეტულ შემთვევაში არ გამოუწვევია განახლებულ კვალიფიკაციების ეროვნულ ჩარჩოს. შესაბამისად ცვლილებას ვერ განიცდიდა კვლევის სფეროებიც, რაც უშაულოდ კავშირშია საგანმანათლებლო პროგრამის შინაარსთან. კურიკულუმის სტრუქტურა ასევე შესაბამისობაშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან, რაც თავისთავად უზრუნველყოფს პროგრამით განსაზღვრული მიზნებისა და მასთან მიმართებაში ჩამოყალიბებული სწავლის შედეგების მიღწევას.
თვითშეფასების ანგარიში ზუსტადაა აღწერილი საგანმანათლებლო პროგრამის კრედიტმოცულობის მითითების სპეციფიკა, კერძოდ, საგანმანათლებლო პროგრამის კურიკულუმში განსაზღვრულია საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტი, კერძოდ 45კრედიტით, მითითებულია დოქტორანტურაში სწავლის ხანგრძლივობა 3 წელი, ჩანაწერი შესაბამისობაშია ***საქართველოს კანონის უმაღლესი განათლების შესახებ*** (იხ. თავი VII, მ.46, პ.2[ა]) და ***საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება N3*** (იხ. მ.4, პ.14) მოთხოვნებთან.
რაც შეეხება პროგრამის შინაარს, ის შესაბამისობაშია პროგრამის მიზანთან, მართებულად უკავშირდება პროგრამაზე დაშვების წინაპირობებს, ვინაიდან გარდა ჯანდაცვის სფეროს სამაგისტრო ხარისის მქონე აპლიკანტისა, დაშვებულია ასევე მომიჯნავე სფეროდან კონკურსანტებიც, სავალდებულო სასწავლო კურსებში მოცემულია ყველაზე სოლიდური კრედიტმოცულობით ძირითადი სპეციალობის სასწავლო დისციპლინა, ასევე კვლევის მეთოდები და უცოური ენა (ინგლისური), რაც ხელს უწყობს დარგში მაღალპროფესიონალური მკვლევრის ჩამოყალიბებას. გამომდინარე იქიდან, რომ საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებული ასევე შესაძლოა დასაქმებული იყოს უმაღლესი განათლების სფეროში, ის პროგრამის ფარგლებში ასევე ეუფლება უმაღლესი განათლების პედაგოგიკასა და ფსიქოლოგიას. შესაბამისად, პროგრამის სტრუქტურისა და შინაარსიდან გამომდინარე, რელევანტურია სწავლის შედეგები, რომელიც წარმოდგენილია საგანმანათლებლო პროგრამაში.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- საქართველოს კანონი უმაღლესი განათლების შესახებ (სსმ, 2, 10/01/2005);
- საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება N3 (05/01/2007);
- საგანმანათლებლო პროგრამა (**დანართი 1**)

**რეკომენდაციები:**

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

**შეფასება**

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 2.3. სასწავლო კურსი

- ძირითადი სფეროს თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის/საგნის/მოდულის/კონცენტრაციის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში წარმოდგენილი სასწავლო კურსების შედეგების გენერირების საფუძველზე გაწერილია პროგრამის სწავლის შედეგები და ამრიგად, სასწავლო კურსების სწავლის რეფლექსია ხორციელდება პროგრამის სწავლის შედეგებში.

კვალიფიკაციების ახალი ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან შესაბამისობის განხილვის პროცესში სასწავლო კომპონენტების სწავლის შედეგები დაკორექტირდა მოთხოვნისდა მიხედვით და მასში აისახა სამი მნიშვნელოვანი კომპეტენცია, რომელიც ერთიანობაში უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

ძირითადი დარგობრივი სილაბუსები დაექვემდებარა კორექტურას, გარკვეული შესწორება უნდა განხორციელდეს უცხოური ენების სასწავლო კურსების სილაბუსებში. დამატებით კომენტარსა და არგუმენტს საჭიროებს უცოური ენების არჩევითი 2 კრედიტიანი კურსების არსებობა კურიკულუმში, მაშინ როდესაც დოქტორანტს აქვს ინგლისური ენის საშუალოზე მაღალი კომპეტენცია ინგლისურში, ასევე მას ეძლევა საშუალება მოისმინოს დარგობრივი უცხოური (ინგლისური) ენის კურსი. აგრეთვე უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ წინამდებარე სილაბუსებში მოცემული სწავლის შედეგები მსგავსია.

დარგობრივ სილაბუსში მითითებული ლიტერატურა უზრუნველყოფს სწავლის სფეროს აქტუალური მიღწევების გაცნობას და შესაბამისად, სწავლის შედეგების მიღწევას.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- საგანმანათლებლო პროგრამა და სასწავლო კურსების სილაბუსები;

**რეკომენდაციები:**

- ✓ მოვიდეს უცხოური ენების სასწავლო კურსების სილაბუსებში წარმოდგენილი სწავლის შედეგების აღწერილობითი ნარატივი განახლებულ სტანდარტებთან შესაბამისობაში.

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

**შეფასება**

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
☑ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული,

| |
|---|
| სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br>საგანმანათლებლო პროგრამის ძირითადი კომპონენტი კვლევითია, რომელიც თეორიული და ექსპერიმენტული კომპონენტების სინთეზით წარმოადგენს კვლევის მნიშვნელოვან შედეგებს საზოგადოებრივი ჯანდაცვის სფეროში.<br>კვლევითი კომპონენტი წარმოადგენს ერთგვარ ინდივიდუალურ სადოქტორო კვლევის პროგრამას, ამ პროგრამის შესრულების გეგმას და იმ აქტივობებს, რომელიც უშუალოდ უკავშირდება საგანმანათლებლო პროგრამის დასრულებისა და დისერტაციის წარდგენა-დაცვისათვის სავალდებულო სამეცნიერო-კვლევით აქტივობებს (მონაწილეობა სამეცნიერო ფორუმებში, კვლევითი ნაშრომებისა და შედეგების პუბლიცირება და სხვ.) და შესაბამისად, საკვალიფიკაციო ნაშრომის დაცვას. გამომდინარე იქიდან, რომ დოქტორანტისთვის დგება ინდივიდუალური გეგმა, კურიკულუმის ეს დეტალი მიუთითებს მასზედ, რომ საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში უზრუნველყოფილია სამეცნიერო კვლევის დამოუკიდებლად, აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპით განხორციელების შესაძლებლობა. ინდივიდუალური გეგმის მონიტორინგი ხორციელდება სამეცნიერო ხელმძღვანელის მიერ, რათა პროგრამით გაწერილი მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევა იყოს შესაძლებელი.<br>საგანმანათლებლო პროგრამაში წარმოდგენილია ჩანაწერი '**კვლევითი** კომპონენტის შეფასების ფორმა დოქტორანტის ყოველწლიური ატესტაციაა (ანგარიშგება) საბაზო დეპარტამენტის/-ების წინაშე (იხ. სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა) (გვ. 8). საკანონმდებლო ჩანაწერის მიხედვით კვლევითი ნაშრომის შეფასება ხდება ერთჯერადად დაცვის შემდგომ. ამრიგად, წინამდებარე ჩანაწერი უნდა დაკორექტირდეს ან განიმარტოს რა იგულისხმება ზემოხსენებულ ***შეფასების სისტემაში***. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br>○ საგანმანათლებლო პროგრამა და სილაბუსები (**დანართი 1**); |
| **რეკომენდაციები:**<br>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br>○ განმარტებულ იქნას ჩანაწერი საგანმანათლებლო პროგრამაში **კვლევითი** კომპონენტის შეფასების (გვ. 8) შესახებ. |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br>○ დოქტორანტის ინდივიდუალური გეგმა, რომელიც უზრუნველყოფს დამოუკიდებელი კვლევის პროცესების დაგეგმვის, განხორციელებისა და მონიტორინგის პროცესს. მსგავსი ფორმატი განაპირობებს მეტწილად საკვალიფიკაციო ნაშრომის სავალდენულო ვადებში წარდგენას. |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) |
| **შეფასება**<br>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br>☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

| 2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები |
|---|
| პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას. |

| |
|---|
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br>საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსებში დეტალურადაა გაწერილი სწავლა-სწავლების მეთოდები, რომლებიც ცალსახად მომდინარეობის კურსის სპეციფიკიდან. სასწავლო კურსებში ასახული მეთოდებისა და კვლევის მეთოდოლოგიის მეთოდები ერთიანობაში გენერირებულია კურიკულუმის შესაბამის რუბრიკაში. სწავლების მეთოდების ჩამონათვალის (ჯგუფური მუშაობა, სიტუაციური ანალიზი, კონკრეტული შემთხვევების გარჩევა (Case-study), თეზისის მომზადება/პრეზენტაცია, დისკუსიებს, ემპირიულ სწავლებას, ადვოკაციას, სემინარებსა და პროექტებს) ანალიზი და შესაბამისად, მიმოხილვა მიუთითებს მასზედ, რომ მეთოდების ზემოხსენებული ნაკრები ერთიანობაში უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. ისინი ორინეტირებულია სტუდენტზე და შეესაბამება სწავლების საფეხურსა და კურსის შინაარსს. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br>○ საგანმანათლებლო პროგრამა და სილაბუსები (**დანართი 1**); |
| **რეკომენდაციები:**<br>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
